პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO i TBILISSKOGO KOMITETOV KP (b) GRUZII i SOVETOV DEPUTATOV TRUDYAŠČIHSYA GRUZINSKOJ SSR

პარასკევი, 23 ივლისი, 1943 წ. № 155 (6780). ფასი 20 კაპ.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 22 ივლისის ოპერაციული ცნობა

22 ივლისს განმავლობაში ჩვენი ჯარები ორიოლის მიმართულებით მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს ხვდებოდნენ, შეტევას განაგრძობდნენ და წინწაიწიეს 6-დან 8 კილომეტრამდე, დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, მათ შორის ქალაქი ბოლხოვი. ქალაქ ბოლხოვის დაკავებით ჩვენმა ჯარებმა დაამთავრეს ორიოლის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული რაიონის ლიკვიდაცია.

ორიოლის მიმართულებით შეტევის 10 დღის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი ტროფეები: 372 ტანკი, 720 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 800 ნაღმსატყორცნი, 1.400 ტყვიამფრქვევი, 128 სხვადასხვა საწყობი.

ტყვედ წამოყვანილია 6.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამავე ხნის განმავლობაში დაზიანებული და მოსპობილია 776 ტანკი, მოსპობილია 200-ზე მეტი თვითმფრინავი, 882 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი.

ბრძოლების 10 დღის განმავლობაში მოწინააღმდეგემ დაკარგა 50.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი მოკლულთა სახით.

ბელგოროდის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც მტრის წინააღმდეგობასა კონტრიერიშებს ებრძოდნენ, წინ წაიწიეს 5-დან 7 კილომეტრამდე.

სამხრეთით, დონბასში, იზიუმის სამხრეთით და ვორიოშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს განაგრძობდნენ.

* * *

ორიოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას ებრძოდნენ და შეტევას განაგრძობდნენ.

ორიოლის ჩრდილოეთით გერმანელებმა ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდ ძალებს მოუყარეს თავი, კონტრიერიშები მოაქვთ და ცდილობენ შეაჩერონ ჩვენი ჯარების შეტევა. ჩვენმა ჯარებმა მოწინააღმდეგის ყველა კონტრიერიში მოიგერიეს, წინ მიიწევენ და დაიკავეს ქალაქი ბოლხოვი და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. ერთი დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლაში მოსპობილია 400-მდე ჰიტლერელი, 14 ტანკი და 5 თვითმავალი ქვემეხი. სხვა უბანზე 5 შენაერთმა გაიფთრებულ ბრძოლაში გაანადგურა გერმანელთა ქვეითი ჯარის პოლკი. უფროს ლეიტენანტ ურიაღნიკოვის საზენიტო ბატარეამ, რომელიც მდინარეზე გადასასვლელს იფარავდა, ერთი საათის განმავლობაში მტრის ავიაციის ორი თავდასხმა მოიგერია და გერმანელთა 5 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

ორიოლის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები წარატაკით მიიწევდნენ წინ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. 6 შენაერთის ნაწილებმა, რომელნიც უკანდახეულ მოწინააღმდეგეს მისდევდნენ, გაეღლტეს 1.300 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაახვიეს და დაჭრეს მტრის 11 ტანკი და 6 თვითმავალი ქვემეხი. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და დავლა. სხვა უბანზე ჩვენმა ტანკისტებმა მოსპეს სულ ცოტა ორი ასეული ჰიტლერელი და ხელთ იგდეს 5 ტანკი, 4 თვითმავალი ქვემეხი და 7 საველე ქვემეხი.

ორიოლის სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. 6 შენაერთის მებრძოლებმა მოიგერიეს მტრის კონტრიერიში. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ფეხდაფეხ შესდიეს გერმანელებს დასახლებულ პუნქტში და დაიკავეს იგი. ბრძოლის შედეგად დაზიანებულია გერმანელთა 9 ტანკი, მოსპობილია მოწინააღმდეგის 6 სანაღმმტყორცნო ბატარეა, 5 ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი და 500-მდე ჯარისკაცი.

* * *

ბელგოროდის მიმართულებით ორი დღის შეტევითს ბრძოლებში 6 შენაერთის ნაწილებმა განდევნეს გერმანელები რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან. ბრძოლის ველზე მტრის ჯარისკაცებისა და ოფიცრების 1.000-ზე მეტი გვამი დავთვალეთ. დაზიანებულია რამდენიმე ტანკი, დამსხვრეული და დამწვარია მოწინააღმდეგის 70 ავტომანქანა. გერმანელები ცდილობენ შეაჩერონ საბჭოთა ჯარების წინსვლა და კონტრიერიშებზე გადმოდიან. მტრის ოცამდე ტანკი იერიში მოიტანა გვარდიის უფროს ლეიტენანტ ლოგინოვის სატანკო ქვეგანაყოფზე. ჩვენმა ტანკისტებმა გაფთრებულ ბრძოლაში მოსპეს გერმანელთა 7 ტანკი, მათ შორის ორი მძიმე ტანკი „ვეფხვის“ ტიპისა. მოწინააღმდეგის სხვა ტანკებმა სწრაფად დაიხიეს უკან.

* * *

იზიუმის სამხრეთით ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები ფრთელდებოდა. გერმანელებმა ბევრი საკომანდო მაღლობი გაამაგრეს მიწაში ჩაფლული ტანკებით და ფოლადის სპეციალური ხუფებით. ჩვენი ნაწილები რომელნიც მოიერიშე ჯგუფებთან მოემზადებენ, გარს უვლიან მტრის დასაყრდენ პუნქტებს, შემდეგ კი მოკლე დარტყმებით ანგრევენ გერმანელთა საეცეცხლე წერტილებს. მოიერიშე ჯგუფმა ლეიტენანტ იოსელინის მეთაურობით მოსპო ერთ ასეულამდე ჰიტლერელი და დაიკავა ერთი ასეთი ძლიერ გამაგრებული პუნქტი. მოწინააღმდეგემ კონტრიერიში მოიტანა, მაგრამ 2 ტანკი და 2 თვითმავალი ქვემეხი დაჭარგა და იძულებული გახდა უკან დაეხია. სხვა უბანზე გერმანელებმა ერთი პოლკი ქვეითი ჯარი და რამდენიმე ათეული ტანკი გამოიყვანეს კონტრიერიშზე. ნ ნაწილის გვარდიელებმა ახლო მანძილზე მოუშვეს მტერი და ყველა სახის იარაღის სროლა აუტეხეს. მოწინააღმდეგემ 1.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჭარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით და სასწრაფოდ დაიხია უკან. ბრძოლის ველზე დარჩა გერმანელთა რამდენიმე დაზიანებული ტანკი.

* * *

ლიტველ პარტიზანთა რაზმმა ფაანადგურა დიდ დასახლებულ პუნქტში განლაგებული მტრის გარნიზონი. მოკლულია 60 ჰიტლერელი, დაიწვა გარაჟი ავტომანქანებიანად და საწყობები ტანსაცმლიანად. 1 ივლისს ღამით „ვილნიუსის“ რაზმის პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა 3 მატარებელი, დამსხვრეულია 19 ვაგონი ჯარისკაცებიანად და 17 ვაგონი საჭურველიანად.

* * *

გერმანელთა მე-12 სატანკო დივიზიის მე-5 გრენადერთა პოლკის ტყვედწამოყვანილმა ოფიცერმა ლეიტენანტმა ფონ ვედელმა განაცხადა: „მე დავალებათა ოფიცრად ვიყავი მე-5 პოლკში. მე ვიცი რომ მე-2, მე-4 და სხვა სატანკო დივიზიებმა, რომელნიც კურსს უტარებენ პირველსავე ბრძოლებში დაჭარგეს პირადი შემადგენლობის 40 პროცენტზე მეტი და ნახევარზე მეტი ტანკები. ოფიცერთა ძნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, ომი ხანგრძლივ შემოტევა, რაც ჰიტლერმა დაიწყო, ავანტიურა იყო, რომელსაც შეუძლია მხოლოდ დაიჩაროს გერმანიის დამარცხება. ოფიცრებმა რომელნიც ამ დღეებში საფრანგეთიდან ნიშნეულნენ განაცხადეს, რომ გერმანელთა იმ ჯარების დიდ კონტინგენტს, რომელნიც იტალიაში გასაგზავნად იყვნენ განკუთვნილნი, სასწრაფოდ ჰგზავნიან აღმოსავლეთის ფრონტზე, რათა შეავსონ ზარალი, რაც აქ მოუვიდათ“.

* * *

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა დაანგრიეს და მოაოხრეს ქალაქი მცენსკი. როდესაც ჩვენმა ჯარებმა ქალაქი დაიკავეს, იქ ერთი საბჭოთა ადამიანიც არ აღმოჩნდა. მხოლოდ ახლომახლო სოფლებისთვის შეეფარებინა თავი ქალაქის რამდენიმე ათეულ მცხოვრებს, რომელნიც ჰიტლერელებს ემალებოდნენ. ეს არის სულ რაც მცენსკის 25 ათასი მოსახლეობისაგან დარჩა. ვლადიმერ იაკობის-ძე შერბაკოვი და ანა სერგის-ასული ვიშნიაკოვა აცხადებენ: „ქალაქი რომ დაიკავეს, გერმანელებმა კაცუმამიებმა სისხლისმსმელი აწიოკეს მოუწყეს მშვიდობიან მოსახლეობას. ისინი ყოველდღიურად ასობით ადამიანს იჭერდნენ, მთელ ოჯახებს აბატიმრებდნენ, აწამებდნენ და შემდეგ ხვრეტდნენ. გერმანელები აცხადებდნენ, დაპატიმრებულნი ზურგში გავგზავნეთო, მაგრამ ეს საზიზღარი სიცრუე იყო. 1942 წლის გაზაფხულზე, როცა მდინარე ზუშაში ყინული გალეზა მრავალი გვამი ამოტივტივდა. ამ გვამებში ნათესავებმა გამოიცნეს გერმანელების მიერ დაპატიმრებული მცენსკის მრავალი მცხოვრები. დეკემბერში გერმანელმა სამხედრო ხელისუფლებამ უბრძანეს ყველა დარჩენილ მცხოვრებს 24 საათში დასტოვეთ ქალაქი, ჰიტლერელებმა ნება არ დართეს თან წაეღოთ თუნდაც ყველაზე უფრო საჭირო ნივთები ბევრი ნახევრადშიშველი ადამიანი დაიღუპა გზაში სიცივეთა და შიმშილით“.

## ლიგოვში, ლაგოვიასა და ესტონეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების სამი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

21 ივლისს მოსკოვში შესდგა ლიტვის სს რესპუბლიკის, ლატვიის სს რესპუბლიკის და ესტონეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და სახალხო კომისართა საბჭოების საზეიმო სხდომა რესპუბლიკათა პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად; სხდომა მიეძღვნა ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების სამი წლისთავს.

ესტონეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ი. ვარესმა გააკეთა მოხსენება ესტონეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების სამი წლისთავის შესახებ.

ლატვიელი ხალხის ისტორიაში უდიდეს დღეს—ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დღეს მიუძღვნა თავისი სიტყვა ლატვიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. კირხენშტეინმა.

ლიტვის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ა. პალეკისმა თავის სიტყვაში ილაპარაკა ლიტვის უდიდეს ეკონომიურ კულტურულ ზრდაზე საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა წითელი არმიის ლატვიის ნაციონალური გვარდიულ შენაერთის წარმომადგენელმა გვარდიის ბოდბალკოვნიკმა ბალოდისმა.

წითელი არმიის ლიტვის 6 ერთგული შენაერთის მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა მისალმებით მიმართეს საზეიმო სხდომას; მისალმებაში საზეიმოდ ფიცსა სდებენ, რომ გარეკენ ლიტვიდან გერმანელ ოკუპანტებს და კვლავ აღმართავენ საბჭოთა ლიტვის წმიდა დროშას.

სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე წითელი არმიის ესტონეთის ნაციონალური ნაწილის წარმომადგენელმა პოდპოლკოვნიკმა ტრანკმანმა.

საზეიმო სხდომის სახელით ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ხალხებს გაუგზავნათ მიმართვა, რომელიც მოიწოდებს მათ გაძლიერონ ბრძოლა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, მთელი ძალ-ღონით იბრძოლონ ლიტველთა, ლატვიელთა და ესტონელთა გაგერმანელების წინააღმდეგ.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინისადმი.

„ბალტიისპირეთის ათასობით სახელოვანი ვაჟიშვილი და ქალიშვილი, პარტიზანი კაცები და ქალები მოწინააღმდეგის ზურგში გმირულად იბრძვიან საუკუნეობრივი მტრის წინააღმდეგ სამშობლოს ბედნიერებისათვის, თავიანთი მახლობლების სიცოცხლისათვის, თავიანთი კერის და თავიანთი დოელათისათვის,—ნათქვამია მისალმებაში, — ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის ხალხები ფიცს გაძლევენ თქვენ, ჩვენო მამავ და მეგობარო, ბელადო და მასწავლებელო, რომ ისინი მზად არიან ყოველივე მსხვერპლი გაიღონ და იარაღს არ დაჰყრიან მანამდე, სანამ უკანასკნელი ჰიტლერელი არ იქნება მოსპობილი ჩვენს საერთო საბჭოთა სამშობლოში“ (საკდესი).

## „სსრ კავშირის სახალხო ხელოვანის“ სახელწოდების დაწესება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა სახვითი ხელოვნების ყველაზე უფრო გამოჩენილ მოღვაწეთათვის, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვნიათ ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების განვითარებაში, წესდება „სსრ კავშირის სახალხო ხელოვანის“ წოდება.

ამ წოდებას ანიჭებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადწესა „რსფსრ სახალხო ხელოვანის“ წოდება. მას მიანიჭებს რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. (საკდესი).

## გენერალ-მაიორი თავართქილაძე, სუვოროვის ორდენის კავალერი, სგუმრად სოფლეთის მშრომელებთან

მოსკოვი, 21 ივლისი (საკდესი). ამ დღეებში სოფლეთის მშრომელებთან სტუმრად იყო გენერალ-მაიორი ნიკოლოზ თავართქილაძე, სუვოროვის ორდენის კავალერი, ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ დაჯილდოებული ორდენით „ჯარი საბრძოლო დამსახურებისათვის“.

ს. მ. კიროვის სახელობის ერევნის კომბინატის მუშა-მოსამსახურეებთან შეხვედრისას გენერალმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ებრძვიან ამერიკელები თავიანთი მამების განაწყენს: მამაცურად და ოსტატურად იბრძვიან თავიანთი სამშობლოსათვის.

საპასუხო სიტყვით გამოსულმა ინჟინერმა ტუსანიანმა კომბინატის მთელი კოლექტივის სახელით ძვირი სალამი გადასცა სახელოვანი დივიზიის მებრძოლებსა და მეთაურებს და სიტყვა მისცა, რომ კომბინატი არ შეასუსტებს თავის დახმარებას ფრონტისადმი ჰიტლერული სიბილწის სრულ განადგურებამდე.

## ჩვენი ჯარების შეტევა გრძელდება

ორიოლის მიმართულება, 21 ივლისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ჩვენი ჯარები განაგრძობენ შეტევითს ბრძოლებს. მოწინააღმდეგე ძლიერ გამაგრდა ერთ წყლის ზღუდეზე. მკვეთრად დასერილი ადგილი აძნელებდა და ზღუდადან ჩვენი ნაწილების მოქმედებას. გერმანელებმა ადგილის რელიეფი თავიანთი დაცვისათვის გამოიყენეს და ცეცხლითა და კონტრიერიშებით ცდილობდნენ შეეჩერებინათ საბჭოთა მეომრების მძიანება. მტერმა ახალი ძალები გამოიყვანა ბრძოლაში.

ბრძოლას ამ ზღუდეზე მთელი დღის განმავლობაში განსაკუთრებით გააფთრებული ხასიათი ჰქონდა, გერმანელები ებღაუჭებოდნენ ყოველ ბორცვს, ხეს. ნაშუადღეს მოწინააღმდეგემ გააფთრებით სცადა წინწაწეული ჩვენი ჯარების მოწყვეტა. გერმანელთა ორმა ქვეითმა პოლკმა 40 ტანკის დახმარებით, რომელთა შორისაც „ვეფხვები“ იყვნენ, დაარტყა ფლანგიდან ჩვენს ქვეგანაყოფებს. საბჭოთა მეომრები ბედგრად და მამაცურად დახვდნენ მტრის გაფთრებულ კონტრიერიშს.

მტრის პირველი ცდა მარცხით დამთავრდა. მტერმა თაღდაპირველ ზღუდეებზე დაიხია. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მან კვლავ მოიტანა იერიში ჩვენს ქვეგანაყოფებზე. მოკლე ხნის, განმავლობაში მოწინააღმდეგემ 10 კონტრიერიში მოიტანა. დღის დამლევს გერმანელთა ტანკებმა მოახერხეს სოლიანით შემოჭრილიყვნენ ჩვენი ნაწილების საბრძოლო წყებებში. მაგრამ მტრის ქვეითი ჯარი მოწყვეტილ იქნა თავის ტანკებს და იძულებული გახდა გაწოლილიყო. ხოლო ჩვენს განლაგებაში შემოჭრილი გერმანელთა ტანკები დაუყოვნებლივ გარშემორტყმულ იქნენ და ისინი ჩვენმა არტილერიამ და ჯავშანტმტვრეველებმა მოსპეს. მტრის ცდა მოეწყვიტა საბჭოთა ნაწილები ჩაეშალა. ჩვენი ქვეგანაყოფები განაგრძობდნენ შეტევას, დღის დამლეგისათვის წინ წაიწიეს. და გავიდნენ გერმანელების მიერ წინააღმდეგობის ძლიერ კვანძად გადაქცეული ურთი დასახლებული პუნქტის მისადგომებზე.

სატანკო ქვეგანაყოფის მეთაური უფროსი ლეიტენანტი ბოჩკარიოვი, რომელიც უკანდახეულ მტერს მისდევდა, შეიჭრა მის სატანკო კოლონაში და თავს მოახვია ბრძოლა გერმანელებს. ბოჩკარიოვმა თავისი მანქანის ქვემეხებით ცეცხლი წაუკიდა მძიმე ტანკ „ვეფხვს“, მოსპო მტრის თვითმავალი ზარბაზანი და 2 ავტომანქანა ქვეითი ჯარითაც.

საბჭოთა ქვეგანაყოფები, რომელნიც ფრონტის სხვა უბანზე მოქმედებდნენ, განაგრძობდნენ წარმატებითს წინსვლას. აქ ბრძოლა მიმდინარეობდა უმთავრესად ერთ წყლის ზღუდეზე. მოწინააღმდეგე, რომელიც მდინარის ნაპირას გამაგრდა, გააფთრებულ წინააღმდეგობას ეწეოდა. ჩვენმა ქვეითმა ჯარმა არტილერიის დახმარებით გადალახა წყლის ზღუდე, დაიკავა 3 დასახლებული პუნქტი და ამით ჩვენს ტანკებს შესაძლებლობა მისცა დაუზარალებლად გადასულიყვნენ გალმა ნაპირზე და ღრმად შეჭრილიყვნენ მტრის თავდაცვაში.

რომ არ დაეშვათ ჩვენი ჯარების შემდგომი შეჭრა თავიანთ ზურგში, გერმანელებმა ამ უბანზე გამოიყვანეს თავისი რეზერვები და რამდენიმე სატანკო ჯგუფი, რომელნიც სასწრაფოდ შეიდგენინათ ორიოლისა და ბრიანსკის სარკინიგზო ბაზებში. ღამისათვის მტრის წინააღმდეგობა გატეხილ იქნა. ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს მტრის წინააღმდეგობის მთელი რიგი დიდი კვანძები.

მოწინააღმდეგემ რამდენჯერმე მოიტანა იერიში პაფლოვსკის ქვეგანაყოფზე, მაგრამ ყოველთვის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა. ამ შეტაკებაში მეავტომატეები უმცროს ლეიტენანტ კლიმოვის მეთაურობით პირველნი შეიჭრნენ გამაგრებულ პუნქტში, რომელსაც გერმანელთა ასეული იცავდა, მოსპეს 50 ჰიტლერელი და ტყვედ წამოიყვანეს 72 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

მტრის სატანკო კონტრიერიშის მოგერიების დროს მამაცობა გამოიჩინა ჩვენი ერთერთი სატანკო ქვეგანაყოფის მეთაურმა უფროსმა ლეიტენანტმა კურსაკოვმა. როცა გერმანელთა ტანკები გამოჩნდნენ, იგი უემბარის ნამსხვრევით დაიჭრა. დაჭრილი კურსაკოვი მეზრნავე მანქანაში ჩაჯდა და ბრძოლაში წაიყვანა ქვეგანაყოფი. ტანკისტებმა დაშალეს მტრის მანქანების მწყობრი და უკუაქციეს ისინი. ამ ბრძოლაში კურსაკოვმა გერმანელთა 3 ტანკი დაზიანა და მანქანების მუხლუხებით გასრესა 2 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და ტყვიამფრქვევის რამდენიმე ბუდე.

ი. ზარიბოვი

## საკდესი უარჰყოფს

გერმანიის საინფორმაციო ბიურომ ა. წ. 22 ივლისს გამოაქვეყნა ცნობა, თითქოს ა. წ. 19 ივლისს ღამით იყო ცდა საბჭოთა ჯარების დესანტის გადასხმისა ნორვეგიის სანაპიროზე ვარდეს სამხრეთით. ამ ცნობაში აღნიშნული იყო, რომ სადესანტო ოპერაციაში მონაწილეობდა საბჭოთა 50 გემი, ამასთან თითქოს ვარდეს ნავსადგურის გერმანელთა სანაპირო თავდაცვის ზეგავლენით დესანტის ხომალდები იძულებული გახდნენ უკან გამობრუნებულიყვნენ, ამასთან დაჰკარგეს 10 ერთეული. ეს ცნობა გიბერიოლ შვედურმა გაზეთებმა.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ეს ცნობა თავით ბოლომდე მოჩმახულია. გერმანიის ცნობის შინაარსი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ სწორია რუსული ანდაზა — „შიშს დიდი თვალები აქვსო“.

# მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი

## ნაციონალურ კომიტეტს „თავისუფალი გერმანიისა“ გერმანიის არმიისა და გერმანელი ხალხისადმი*

ა. წ. 12 და 13 ივლისს მოსკოვში შესდგა გერმანელი სამხედრო ტყვე ოფიცრებისა და ჯარისკაცების კონფერენცია, სსრ კავშირში მყოფ გერმანელ ანტიფაშისტ საზოგადო და პროფკავშირულ მოღვაწეებთან და რეიხსტაგის დეპუტატებთან ერთად. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ სამეცნიერო ტერიტორიაზე არსებულ სამხედრო ტყვეთა ყველა ბანაკის წარმომადგენლები, სხვადასხვა საზოგადოებრივი მდგომარეობისა და სხვადასხვა რელიგიურ და პოლიტიკურ შეხედულებათა ადამიანები. მიმდინარე მომენტის საკითხებს აქტიური განხილვის შემდეგ კონფერენციის ყველა მონაწილე მივიდა ერთსულოვან გადაწყვეტილებამდე იმის შესახებ, რომ შეექმნა ნაციონალური კომიტეტი „თავისუფალი გერმანია“, რომელიც არჩეულ იქნა კონფერენციაზე. პირველ სხდომაზე ნაციონალურმა კომიტეტმა ერთხმად აირჩია თავის პრეზიდენტად ცნობილი გერმანელი პოეტი ერიხ ვაინერტი, პირველ ვიცე-პრეზიდენტად—მაიორი კარლ ჰეტცი და მეორე ვიცე-პრეზიდენტად — ლეიტენანტი ჰენრიხ გრაფ ფონ-ეინზიდელი. ნაციონალურმა კომიტეტმა „თავისუფალმა გერმანიამ“ ქვეშმოყვანილი მანიფესტი მიმართა გერმანიის არმიასა და გერმანელ ხალხს:

გერმანელებო! მოვლენები დაუყოვნებლივს გადაწყვეტილებას მოითხოვენ თქვენგან.

სასიკვდილო საშიშროების ქაშს, რომელიც ჩვენს სამშობლოს ჩამოაწვა და თვით მის არსებობას ემუქრება, შეიქმნა ნაციონალური კომიტეტი „თავისუფალი გერმანია“.

ნაციონალური კომიტეტის შემადგენლობაში შედიან: მუშები და მწერლები, ჯარისკაცები და ოფიცრები, პროფკავშირული მოღვაწეები და პოლიტიკოსები, უაღრესად სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებათა და რწმენათა ადამიანები, რომელნიც სულ ერთი წლის წინათ ამგვარ გაერთიანებას შეუძლებლად მიიჩნევდნენ.

ნაციონალური კომიტეტი გამოხატავს ფრონტზე და ზურგში მყოფ, თავიანთი სამშობლოს ბედისათვის შეშფოთებულ მილიონობით გერმანელთა აზრებსა და იმედებს.

ნაციონალურ კომიტეტს უფლება აქვს და ვალდებულიცაა ამ სასტიკ ჟამს ილაპარაკოს გერმანელი ხალხის სახელით, ილაპარაკოს ნათლად და მტკიცედ, როგორც ამას ახლანდელი მომენტის სერიოზულობა მოითხოვს:

ჰიტლერი გერმანიას უფსკრულისაკენ მიაქანებს.

შეხედეთ, რა ხდება ფრონტებზე:

გერმანიის ისტორიაში უმაგალითო უკანასკნელი შვიდი თვის დამარცხება: სტალინგრადი, დონი, კავკასია, ლიბია, ტუნისი. მთელი პასუხისმგებლობა ამ დამარცხებებისათვის აწევს ჰიტლერს. და ის კვლავ რჩება არმიისა და სახელმწიფოს სათავეში. გერმანიის ჯარები ამჟამად სამშობლოსაგან შორს იმყოფებიან. ათასობით კილომეტრზე გადაჭიმულ ფრონტზე დაქსაქსულნი, აშკარად ბრძოლისუუნარო და არასაიმედო მოკავშირეებთან დაკავშირებულნი, ისინი პირისპირ არიან დაყენებულნი მძლავრ კოალიციასთან, რომლის ძალა ყოველ საათობით იზრდება. ინგლისისა და ამერიკის ჯარები ევროპის კარიბჭესთან დგანან, ახლოდება დღე, როცა გერმანიას ერთისა და იმავე დროს თავს დაატყდება დარტყმები ყველა მხრიდან. გერმანიის დასუსტებული არმია, მოწინააღმდეგის ჭარბი ძალებით შეევრეოლებული, დიდხანს ვერ გასძლებს. მისი განადგურების ჟამი ახლოვდება!

შეხედეთ, რა ხდება სამშობლოში:

გერმანია უკვე ომის ასპარეზად იქცა. ქალაქები, მრეწველობისა და გემთმშენებლობის ცენტრები სულ უფრო და უფრო მეტად განიცდიან ნგრევას. ჩვენი დედები, ცოლები, და ბავშვები კერასა და ქონებას ჰკარგავენ. გლეხებს წაართვეს უფლებები და თავისუფლება. ტოტალური მობილიზაცია აჩანაგებს ხელოსნებს და უკანასკნელ სასიცოცხლო ძალებს აცლის მშრომელ ხალხს.

წლობით, ხალხის ნება-სურვილის დაუკითხავად, ამზადებდა ჰიტლერი ამ დამპყრობლურ ომს. მან პოლიტიკურ იზოლაციამდე მიიყვანა გერმანია. მან უპასუხისმგებლოდ გამოიწვია ომში მსოფლიოს სამი ყველაზე ძლიერი სახელმწიფო და იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ისინი გაერთიანდნენ ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლისთვის. მან მთელი ევროპა გადაქცია გერმანელი ხალხის მტრად, და შიერაცხვინა ჩვენი ხალხის სახელი. ის დამნაშავეა იმ სიძულვილისათვის, რომელითაც ახლა გარემოცულია გერმანია.

გარეშე მტერს ჩვენ, გერმანელები, არასოდეს არ ჩავუგდიეთრთ უბედურებათა უფსკრულში ისე, როგორც ეს ჰიტლერმა ჩაიდინა.

ფაქტები ულმობელად მოწმობენ: ომი წაგებულია. უმაგალითო მსხვერპლისა და გაჭირვების ფასად გერმანიას ჯერ კიდევ შეუძლია ერთხანს გააჭიანუროს ომი. მაგრამ უმიდეო ომის განგრძობა ერის დაღუპვის თანაბარი იქნებოდა.

*) გადმობეჭდილია გერმანულ გაზეთ „თავისუფალი გერმანიიდან“ ნაციონალური კომიტეტ „თავისუფალი გერმანიის“ ორგანოდან, ნომერი პირველი, 1943 წლის 19 ივლისი.

მაგრამ გერმანია არ უნდა მოკვდეს!

იარსებოს თუ არ იარსებოს ჩვენმა სამშობლომ—ასე დგას ახლა საკითხი.

თუ გერმანელმა ხალხმა წონასწორებულად უდრტვინველად და მორჩილად დაუშვა, რომ იგი დასაღუპავად წაიყვანონ, მაშინ ომის თითოეულ დღესთან ერთად არა თუ გამოიფიტება და გამოილევა მისი ძალები, არამედ გაიზრდება მისი დანაშაულიც. მაშინ ჰიტლერი დამხობილი იქნება მხოლოდ კოალიციის არმიების ძალით. მაგრამ ეს იქნება ჩვენი ნაციონალური დამოუკიდებლობის, ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობის აღსასრული, ჩვენი სამშობლოს დაქუცმაცება. და მაშინ მხოლოდ ჩვენს თავს უნდა დავაყვედროთ.

თუ გერმანელი ხალხი დროზე ჰპოვებს თავის თავში მამაცობასა და საქმით დაამტკიცებს, რომ მას სწადია იყოს თავისუფალი ხალხი და რომ ის გამსჭვალულია მტკიცე გადაწყვეტილებით—გაათავისუფლოს გერმანია ჰიტლერისაგან, იგი თავის თავს მოუპოვებს უფლებას გადასწყვიტოს თავისი ბედი, და სხვა ხალხები ანგარიშს ვაუწევენ მას. ეს არის გერმანელი ერის თვით არსებობის, თავისუფლებისა და ღირსების ხსნის ერთადერთი გზა.

გერმანელ ხალხს ესპირდება დაუყოვნებლივი ზავი და სწყურია იგი.

მაგრამ ჰიტლერთან ზავს არავინ შეეკრავს. მასთან მოლაპარაკებასაც კი არავინ გამართავს. ამიტომ გერმანიის ნამდვილად ნაციონალური მთავრობის შექმნა წარმოადგენს ჩვენი ხალხის ყოვლად გადაუდებელ ამოცანას. მხოლოდ ასეთ მთავრობას ექნება ხალხისა და მისი ყოფილი მოწინააღმდეგეების ნდობა. მხოლოდ მას შეუძლია მშვიდობიანობა მოგვიტანოს.

ეს მთავრობა უნდა იყოს ძლიერი და უნდა ჰქონდეს საჭირო ძალაუფლება. რათა გააუნებლოს ხალხის მტრები — ჰიტლერი, მისი მფარველები და დამბაშები, გადაჭრით მოუღოს ბოლო ტერორს და გაუსწორდეს კორუპციას, დაამყაროს მტკიცე წესრიგი და ღირსეულად წარმოადგინოს გერმანია გარეშე მფლობელის წინაშე. ეს მთავრობა შეიძლება შექმნილ იქნას მხოლოდ გერმანელი ხალხის ყველა ფენის განმთავისუფლებელი ბრძოლის შედეგად. იგი დაეყრდნობა მებრძოლ ჯგუფებს, რომლებიც გაერთიანდებიან ჰიტლერის დასამხობად. ამასთან გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ არმიის იმ ძალებმა, რომელნიც სამშობლოს და ხალხის ერთგულნი არიან.

ეს მთავრობა მაშინვე შესწყვეტს საომარ მოქმედებას, გაიწვევს გერმანიის ჯარებს იმპერიის საზღვრებზე და, უარს იტყვის რა ყოველგვარ დაპყრობაზე, დაიწყებს მოლაპარაკებას ზავის შესახებ. ასე მიაღწევს იგი მშვიდობიანობას და დაბრუნებს გერმანიას თანასწორუფლებიან ხალხთა წრეში, მხოლოდ იგი შეუქმნის გერმანელ ხალხს შესაძლებლობას თავისუფლად გამოთქვას ნება-სურვილი მშვიდობიანობის პირობებში, შესაძლებლობას—სუვერენულად გადაწყვიტოს საგარეო სახელმწიფოებრივი წესწყობილების საკითხი.

ჩვენი მიზანია თავისუფალი გერმანია.

ეს ნიშნავს:

ძლიერ დემოკრატიულ ხელისუფლებას, რომელსაც საერთო არაფერი ექნება ვეიმარის რეჟიმის უძალურებასთან, დემოკრატიას, რომელიც ულმობელად, ძირიან-ფესვიანად დათრგუნავს თავისუფალი ხალხის უფლებათა წინააღმდეგ ან ევროპის მშვიდობიანობის წინააღმდეგ რაიმე ახალ შეთქმულებათა ყოველგვარ ცდას.

ნაციონალურ და რასობრივ სიძულვილზე დაფუძნებული ყველა კანონის სრულ გაუქმებას, ჩვენი ხალხის დამამცირებელი ჰიტლერული რეჟიმის ყველა წესის გაუქმებას, გაუქმებას ჰიტლერულ ხელისუფლების ყველა ღონისძიებისას, რომლებიც მიმართულია თავისუფლებისა და ადამიანური ღირსების წინააღმდეგ.

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

## 21 ივლისის ოპერაციული ცნობა

21 ივლისის განმავლობაში ჩვენი ჯარები ორიოლის მიმართულებით სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, განაგრძობდნენ შეტევას და წინ წაიწიეს 6-დან 15 კილომეტრამდე. მტერი ქვეითი ჯარისა და ტანკების არაერთგზის მოტანილი კონტრიერიშებით ცდილობდა შეეჩერებინა ჩვენი შემტევი ნაწილების წინსვლა.

ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ორიოლის ჩრდილოეთით უტევენ, დაიკავეს 40 დასახლებული პუნქტი, მათ რიცხვში რაიონული ცენტრი ტელჩინი, რკინიგზის სადგურები დუმჩინო, ოტრადა, ოპუშა (15 კილომეტრზე ქ. ორიოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით) და დიდი დასახლებული პუნქტები—ლუნევო, პლაშჩანსკოე, შუმოვო, ლუტოვინოვო, შაშკინო, გოლუბე დეშკინო, ვორონოვო, კარანდაკოვო.

ორიოლის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ რიცხვში რაიონული ცენტრი და რკინიგზის სადგური მოხოვოე, რკინიგზის სადგური ზოლოტარევო (18 კილომეტრზე ქ. ორიოლის აღმოსავლეთით) და დიდი დასახლებული პუნქტები სპასკოე, კარპოვო, არშანოვო, ვოსკრესენკა, კრასნოვიდოვო.

ორიოლის სამხრეთით ჩვენი ჯარები, ხვდებოდნენ რა მტრის ძლიერ საცეცხლე წინააღმდეგობას და კონტრიერიშებს, წინ მიიწევდნენ.

ბელგოროდის მიმართულებით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის კონტრიერიშებს და განაგრძობდნენ წინსვლას.

სამხრეთით, დონბასში, იზიუმის სამხრეთით მდებარე რაიონში და ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით გრძელდებოდა ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები, რომელთა შედეგად ჩვენმა ჯარებმა კვლავ გაიუმჯობესეს პოზიციები.

20 ივლისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ორიოლის მიმართულებით დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 77 ტანკი, საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 131 თვითმფრინავი.

* * *

ორიოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას, განვითარებას.

ორიოლის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა, იერიფებდნენ რა მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვან კონტრიერიშებს, 40 დასახლებული პუნქტი დაიკავეს. გერმანელებს სასწრაფოდ მოჰყავთ ქვეითი ჯარი და ტანკები და ცხარეს კონტრიერიშებზე გადმოჰყავთ ისინი. სწარმოებს განუწყვეტელი გაფთრებული ბრძოლები, რომელთა მსვლელობაშიც მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოსდის. 5 შინაარსის ნაწილებმა დღის განმავლობაში გასწყვიტეს 1.500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანეს და დასწეს მტრის 60-მდე ტანკი. ფრონტის სხვა უბნებზე მოწინააღმდეგეს აგრეთვე მძიმე ზარალი მოსდის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ორიოლის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა, წარმატებით მიიწევდნენ წინ და 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. წამოყვანილია ტყვეები და წამოიღებულია დაცლა. ჩვენმა მებრძოლებმა გუშინ ერთი დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლაში 1.000-ზე მეტი ჰიტლერელი გასწყვიტეს, გაანადგურეს გერმანელთა საარტილერიო პოლკი და ხელთ იგდეს 30 ტანკი, ათ შორის 20 ვარგისი, 15 ქვემეხი და 13 ნაღმსატყორცნი. 5 სატანკო ნაწილის მებრძოლებმა დააზიანეს გერმანელთა 6 ტანკი „ვეფხვის“ ტიპისა.

ორიოლის სამხრეთით ჩვენი ჯარები იერიფებდნენ მტრის გააფთრებულ კონტრიერიშებს. 5 შინაარსის ნაწილებმა შეუპოვარი ბრძოლების შედეგად დაიკავეს ხელსაყრელი ზღუდე. გაწყვეტილია 800-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოსპობილია 12 ქვემეხი და დამწვარია მოწინააღმდეგის 3 ტანკი. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა გერმანელებს წაართვეს მიწაში ჩაფლული 28 ტანკი და სხვა დაცლა. სხვა უბანზე ჰიტლერელები განსაკუთრებით შეუპოვარ წინააღმდეგობას გიწევდნენ. საბჭოთა მებრძოლ-სასვლელი გათხარეს მოწინააღმდეგის სანგრებისაკენ, გრანატები დააყარეს მათ და იერიში მიიტანეს გერმანელებზე. აქ ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს 400 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და დაიკავეს მტრის თავდაცვის გამაგრებული კვანძი.

* * *

ბელგოროდის მიმართულებით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის კონტრიერიშებს და განაგრძობდნენ წინწაწევას. 5 შინაარსის ნაწილებმა გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავა. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 800-ზე მეტი გვამი და გერმანელთა 11 დაზიანებულ ტანკი. სხვა უბანზე 5 ნაწილის მებრძოლები გარშემორტყმენ და გაანადგურეს მტრის მოტოქვეითი ბატალიონი. ამ ბრძოლაში ლეიტენანტების გაზანაევის, ნაუმენკოს და ტიშჩენკოს სატანკო ეკიპაჟებმა მოსპეს გერმანელთა 12 ტანკი, 4 ქვემეხი და 6 ნაღმსატყორცნი.

მფრინავ მოიერიშეთა ჯგუფმა ამხ. ვიტრუკის მეთაურობით მაგრად დაარტყა მოწინააღმდეგის თავმოყრილი ჯარს. ჩვენმა მფრინავებმა მოსპეს გერმანელთა 200-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად.

* * *

იზიუმის სამხრეთით გრძელდებოდა ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები. ჩვენმა ნაწილებმა გერმანელები იერიშით განდევნეს რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს პოზიციები.

## ᲒᲧᲕᲔ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲬᲘᲚᲔᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲝᲠᲘᲝᲚᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲗ, 21 ივლისი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ტყვე გერმანელები გვიამბობენ დიდ ზარალზე, რაც ჰიტლერელთა არმიას მოსდის საბჭოთა არტილერიის ცეცხლითა და ავიაციის დარტყმებით.

„რუსთა არტილერიის ცეცხლი საშინელი იყო,—ამბობს 293-ე საარტილერიო პოლკის ეფრეიტორი ჰელმუტ პარჰოფი.—არტილერიის დაშენის შემდეგ ცოცხლად გადარჩენილნი ერთბაშად ზურგზე გაიქცნენ. ბატარიის მეთაურმა ბრძანა, ქვემეხი ააფეთქეთ და თავდაცვის მეორე ხაზზე დაიხიეთო“.

293-ე დივიზიის 510-ე ქვეითი პოლკის მძიმე ნაღმსატყორცნების ათეულის მეთაურმა ვალტერ პრაისმა აჩვენა: „რუსთა საარტილერიო მომზადების დროს ჩემი ათეულის ყველა ნაღმსატყორცნი მოსპობილ იქნა. ყუმბარები ეყრებოდა ასეულის მთელს დაცვას ფრონტი-ოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲓᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲘᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲘᲡᲔᲑᲘᲗ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ („კომუნისტის“ საკ. კორ.). კოლმეურნეობებში დაიწყო განხილვა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა 1943 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დაშზადებათა შესახებ. კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ პარტიისა და მთავრობის ამ დადგენილებას.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით კოლმეურნეები იღებენ კონკრეტულ ვალდებულებებს და აძლიერებენ მუშაობის ტემპებს. სოფ. კაჭრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა იკისრეს ორი-სამი დღის განმავლობაში მთლიანად დაამთავრონ მოსავლის აღება, ძნების გამოზიდვა და დახვნვა. აქ კომბაინებითა და ხელით მოსავალი უკვე აიღეს 214 ჰექტარზე. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ლაზარაშვილმა პირობა დასდო 25 ივლისამდე შეასრულოს სახელმწიფოსთვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების გეგმა. სახელმწიფოს უკვე ჩაბარეს 250 ცენტნერზე მეტი პურეული. სოფ. ბოგდანოვკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა აიღეს ვალდებულება სწრაფად და უდანაკარგოდ დაამთავრონ მოსავლის აღება. ასეთივე კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს და სამხედრო ტემპებით იღებენ მოსავალს სოფ. შიბლიანის დიმიტროვის სახელობის, ყანდაურის ლენინის სახელობის, სოფ. ჯიმითის ბერიას სახელობის, სოფ. ლანბალოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობები.

საფუძვლიანად ეცნობიან პარტიისა და მთავრობის დადგენილებას მტს-ების მუშაკები. კაჭრეთის მტს-ის კომბაინერმა ამირ ყარამან ოღლიმ, რომელმაც მოსავალი უკვე აიღო 130 ჰექტარზე, პირობა დასდო, რომ კომბაინით მოსავლის აღების გეგმას 150 პროცენტით შეასრულებს. კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე კომბაინერებმა ხალიხიშმა, სოლოდოშვილმა, თევდორაშვილმა.

**შ. მაჭავარიანი**

## ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲐᲑᲐᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲐᲜᲐᲦᲔᲑᲡ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲡ

ᲙᲐᲡᲞᲘ („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონში ფართოდ არის გაჩაღებული თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. მოსავალს უდანაკარგოდ აღებისათვის კარგად მუშაობენ სოფ. ნიგოზის (თავმჯდომარე ა. მუზაშვილი), ქვემო-ჯალის (თავმჯდომარე ა. მაჯარაშვილი). № 1 მეტეხის (თავმჯდომარე ს. ბოგველი) კოლმეურნეობები.

პირველ განალეწ მარცვლეულს კოლმეურნეობები სახელმწიფოს აბარებენ. მაღალხარისხოვანი მარცვლეული დროულად ჩაბარა სახელმწიფოს № 2 ხოვლეს კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ზ. მიქუტაშვილი). ქერის საგალდებულო ჩაბარების გეგმა მთლიანად შეასრულეს სოფ. ბოქმის, ქებაანის, მიქელწყაროს, ბარნაბინთკარის, ჭყოჰიანის, ფაშიანის კოლმეურნეობებმა. კოლმეურნეობები მარცვლეულს აბარებენ აგრეთვე წითელი არმიის ფონდში. მაგალითად, ბოქმის კოლმეურნეობამ ჩაბარა 890 კილოგრამი ქერი, ბარნაბინთკარის კოლმეურნეობამ—727 კილოგრამი, ქებაანის კოლმეურნეობამ—100-ზე მეტი კილოგრამი.

**ვ. გუზალაძე**

## ᲐᲡᲞᲘᲜᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐ

ივლისის შუა რიცხვებიდან კოლმეურნეობები შეუდგნენ თავთავიანი მარცვლეულის მოსავლის აღებას. სოფ. ხიზაბავრის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე გ. ველიჯანაშვილი) კარგად მოემზადა მოსავლის აღებისათვის. ქერის აღება სწრაფი ტემპებით სწარმოებს. კოლმეურნეები თამარ მექოშვილი, ელიკო მურადაშვილი და გრიგალი ივანე თედორაძე დღიურ სამუშაო გეგმას ორმაგად ასრულებენ.

წარმატებით მიმდინარეობს მოსავლის აღება ნაქალაქევის და რუსთავის სასოფლო საბჭოებში შეშავალ კოლმეურნეობებში.

**ვ. თამაზაშვილი**

## ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

აბაშის რაიონმა 10 ივლისისათვის მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმა 100,3 პროცენტით შეასრულა, მათ შორის ძროხებისა—100,4 პროცენტით, ცხენთა სულადობისა—100,4 პროცენტით.

**საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის მდივანი ᲪᲐᲜᲐᲕᲐ**
**რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ᲑᲝᲚᲥᲔᲠᲘᲐ**

## ᲩᲐᲘᲡ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲦᲔᲑᲐ

(ᲢᲠᲔᲚᲔᲗ „ᲡᲐᲥᲩᲐᲘᲡ“ 20 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲗ)

| რაიონები | ივლისის გეგმის შესრულება თვეში დასაწყისის ჩათვლით პროცენტებით | წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით | რაიონები | ივლისის გეგმის შესრულება თვეში დასაწყისის ჩათვლით პროცენტებით | წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით |
|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 24,7 | 46,7 | წულუკიძე | 26,3 | 47,9 |
| ქობულეთი | 27,8 | 47,3 | ქუთაისი | 61,4 | 61,3 |
| გალი | 28,7 | 51,0 | წყალტუბო | 45,2 | 60,7 |
| ოჩამჩირე | 27,7 | 44,9 | ტყიბული | 53,6 | 59,3 |
| გულრიფში | 46,0 | 53,8 | ცხაკაია | 37,5 | 51,8 |
| სოხუმი | 39,1 | 57,0 | აბაშა | 57,1 | 55,7 |
| გუდაუთა | 65,2 | 56,8 | გეგეჭკორი | 31,3 | 48,2 |
| მახარაძე | 35,7 | 48,3 | ზუგდიდი | 34,9 | 50,0 |
| ჩოხატაური | 42,7 | 50,5 | წალენჯიხა | 45,4 | 54,0 |
| ლანჩხუთი | 42,3 | 48,2 | ჩხოროწყუ | 34,8 | 49,4 |
| სამტრედია | 65,9 | 60,1 | ხობი | 49,1 | 53,3 |

ჩაქის პირველი (ქობულეთის რაიონი) და ნაბაკევის (გალის რაიონი) ჩაის ფაბრიკების ცხობები ცხრილში შეტანილია 15 ივლისის მდგომარეობით.

# ᲓᲔᲙᲐᲛᲔᲓᲘ

## ᲐᲜᲒᲚᲘᲣᲚᲘᲡᲬᲧᲠᲘ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 21 ივლისი (საკდესი). როგორც გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ იუწყება, იტალიის რამდენიმე ქალაქში შესდგა დემონსტრაციები ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ. მესინაში, იუგოდასლავიასა და ფლორენციაში ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები გაიმართა. კომოში ფაშისტ ხელისუფალთა ბრძანებით გაიმართა დიდი პარადი, რომელზეც ფაშისტური პარტიის ყველა წევრს ეკალებოდა გამოცხადება ფაშისტური ნიშნებით. ბრძანება იმან გამოიწვია, რომ ფაშისტური პარტიის ბევრი წევრი ამ უკანასკნელ ხანს აღარ ატარებს პარტიულ ნიშანს. ყველა ფაშისტი, რომელიც პარადს არ დაესწრო, ფაშისტური პარტიიდან გარიცხეს.

## ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲨᲠᲝᲜᲔᲑᲖᲔ ᲛᲔᲠᲒᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 19 ივლისი (საკდესი). ბეკოი დიდი გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს მოწინავე სტატიებში იმ მოვლენათა უდიდეს მნიშვნელობას, რომლებიც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ხდება, და აცხადებს, რომ ოპერაციები სიცილიაზე, მიუხედავად მათი ბრწყინვალე წარმატებისა, არ წარმოადგენს მეორე ფრონტს, რომელიც საჭიროა ჰიტლერიზმის მალე მოსასპობად. კონსერვატიული გაზეთი „სენი“ (გამოდის ნიუ-იორკში) სწერს, რომ ამერიკელებს, ბუნებრივია, უწონარეს ყოველისა აინტერესებთ სიცილიის ამბები, რამდენადაც ამ ოპერაციებში მონაწილეობენ ამერიკელთა ჯარები, მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ცნობები მოდის საბჭოთა კავშირიდან და არა სიცილიიდან. „ობიექტური დამკვირვებლისათვის ცხადია,—სწერს გაზეთი.—რომ გერმანიის შეტევის ჩაშლას ორიოლ-ბელგოროდის ხაზზე უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე უკანასკნელი წლის ომის რომელიმე მოვლენას. არა მარტო ჩაიშალა გერმანიის შეტევა, არამედ დაწყებულ იქნა საბჭოთა კონტრშეტევა, რომელმაც კოლოსალური წარმატებებს მიაღწია“.

გაზეთი „მორნინგ ნიუსი“ (გამოდის დალასში) კომენტარს უკეთებს საბჭოთა კონტრშეტევის დაწყებას და აცხადებს, რომ „ევროპის ომის მალე გათავების იმედი შეიძლება მარტო იმ შემთხვევაში ვიქონიოთ, თუ მოკავშირეები დაიწყებენ კოორდინირებულ თავდასხმას. ერთსა და იმავე დროს ყოველი მხრიდან დაარტყამენ გერმანიას, დაქსაჭაჭავენ გერმანიის ძალებს და გამოიყენებენ ხელსაყრელ შესაძლებლობებს, რაც წარმოიშვა გერმანიის ავიაციის დასუსტების შედეგად და იმის შედეგად, რომ ნაცისტებს არ შეუძლიათ ანაზღაურონ სამხედრო მასალის ზარალი, რაც მოკავშირეთა მიერ დაბომბვის შედეგად გერმანიის სამრეწველო ცენტრებს მოუვიდა.

## ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲔᲛᲝᲡᲬᲘᲚᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲬᲕᲐᲕᲔᲑᲐ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲨᲘ

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 22 ივლისი (საკდესი). ბულგარეთიდან ჩამოსული პირნი გადმოგვცემენ, რომ ბულგარეთის პოლიციას აღარ ძალუძს აღკვეთოს ყოველგვარი ხმების გავრცელება, რომლებიც შეშფოთების ატმოსფეროს ჰქმნიან ბულგარეთში. ხელისუფლები „ხმების გამავრცელებელთ“ პირდაპირ ქუჩაში აპატიმრებენ. ერთ დღეს, 18 ივლისს, დაპატიმრეს ბულთა რიცხვმა 100 კაცს მიაღწია. მეორე დღეს სოფიაში გავრცელდა არანაკლებ შეუპოვარი ხმები, რომ ბულგარეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე აჯანყებამ იფეთქა. დაპატიმრებათა მიუხედავად, ეს ხმები კვლავ ვრცელდებოდა. გადმოგვცემენ აგრეთვე, რომ 3 ივლისს შუაღამისას სოფიაში გაისმა საჰაერო განგაშის სიგნალი. მალე ვანგაშის დამთავრების სიგნალი მისცეს. ეგზოტიკა, რომ ყალბი განგაში იყო. გერმანიისა და ბულგარეთის სარდლობანი უშედეგოდ ცდილობდნენ დამწყვეტინეთ ბოვნას. 2 ივლისს სოფიის საქონლის სადგურში, რამდენიმე კილომეტრზე ცენტრალური ვაგზლის მახლობლად ჩაიშალა ოპერაციები. ბულგარეთიდან ჩამოსული პირნი ამბობენ, რომ ბულგარეთის ფრონტზე ბრძოლა ბულგარელ ჯარისკაცებსა და საბჭოელის საკმაო რიცხვი, რუსეთს შეეძლება გადამწყვეტი დარტყმები აგვმოს. მისი მრავალრიცხოვანი, კარგად აღჭურვილი და ბრძოლებში გამოწრთობილი არმიები მზად არიან იმისათვის, რომ დასავლეთისაკენ განდევნონ ნაცისტები, თუ ჩვენ მოვახერხებთ რამდენადმე შევამცირეთ გერმანიის მიძალება და ამით შეიუქმნათ რუსებს ხელსაყრელი შესაძლებლობანი, რაც მათ ესაჭიროებათ“. გაზეთი „ქრონიკლი“ (გამოდის სან-ფრანსისკოში) სწერს: „სიცილიის მოვლენები გერმანელებს არ აყენებენ ამერიკის ეროსა და საბჭოთა გრდემლს შუა. ომოკოვი კი სწორედ ამას გულისხმობს მეორე ფრონტად. მოკავშირეთა სტრატეგიის გეგმებში სიცილია საჭირო ნაბიჯს წარმოადგენს ამ მიზნის მიღწევის გზაზე. საჭიროა ჩამოშორება სიცილიისა და სარდინიისა, როგორც კონტინენტზე შეჭრის მიზნით ხმელთაშუა ზღვაში წარმოებული ყოველი კამპანიის საფრთხისა ფლანგიდან. მოსკოვი, უეჭველია, მიესალმებოდა უფრო სწრაფ და უფრო გაბედულ მოქმედებას. მოკავშირეთა სტატეგია, ალბათ, იმაში მდგომარეობს, რომ თანდათანობით დასხლეტის მახე გადაულახველი ძალის შემოწმებით“.

გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის“ მიმომხილველ გრეფფონის სიტყვით, სიცილიაში შეჭრა ამტკიცებს, რომ ევროპის სიმაგრე აღარ არსებობს. „ის, რაც მიღწეული იყო ერთ პუნქტში, შეიძლება განზორციელებულ იქნას აგრეთვე სხვა პუნქტებშიც. სიცილია ანადგურებს ჰიტლერულ პროპაგანდას ევროპის სიმაგრის შესახებ. ამჟამად ჩვენ ვხედავთ, რომ კარი გაიღო, როცა მას დარტყეს. სიცილია ამტკიცებს მეორე ფრონტის გახსნის შესაძლებლობას“.

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲐᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 22 ივლისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო შეეიცარიაოგერმანიის საზღვრიდან იუწყება, რომ წარსულ კვირას ჰიტლერელმა ოკუპანტებმა პარიზში სიკვდილით დასაჯეს 50 მძევალი გერმანელი ლეიტენანტის მოკვლის სამაგიეროდ.

# საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

## ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ XᲡᲡᲘᲡ

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი მეცნიერებათა განყოფილების მე-11 სესიის სხდომაზე მოსმენილ იქნა აკად. ა. შანიძის მოხსენება „აქტივი და პასივი ურთიერთის მიმართ მრავალპირიანი ზმნის ჩვენებაში“ და პროფ. დ. არაყიშვილის მოხსენება—„აღმოსავლეთ საქართველოს ქართული ხალხური სიმღერის მიმოხილვა“.

აკად. ა. შანიძემ თავის საყურადღებო მოხსენებაში გაარკვია ქართულში აქტივის და პასივის ურთიერთობის საკითხი და დასაბუთა, რომ ვნებითი გვარის ზმნის ფორმა (პასივი) გენეტურად წარმოადგენს მოქმედებითი ვაჟარის ზმნის (აქტივის) მობრუნებულ (კონვერსიულ) სახეს. ვნებითის წარმოებისას ზმნას ერთი პირი აკლდება; სამპირიანი ორპირიანად იქცევა, ორპირიანი კი ერთპირიანად.

მომხსენებელმა ეს დებულება ნათელჰყო ქართული ზმნის აქტივისა და პასივის ფორმათა შეპირისპირებით და აღნიშნა, რომ ამ მხრივ ქართული მკვეთრად განსხვავდება სხვა ენებისაგან (არაბული, ლათინური, რუსული), რომელთაც საზოგადოდ აქტივი და პასივი ერთპირიანი აქვთ.

მოხსენების გარშემო აზრი გამოსთქვეს აკად. გ. ახვლედიანმა და პროფ. ვ. თოფურიამ.

პროფ. დ. არაყიშვილი თავის მოხსენებაში შეეხო აღმოსავლეთ საქართველოს სამუსიკო ფოლკლორს და შეჩერდა უმთავრესად თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და ქართლ-კახეთის სიმღერებზე. მომხსენებელმა განიხილა ერთ, ორ და სამხმიანი სიმღერების აღნაგობა. მრავალხმიან სიმღერებში შემავალი ხმების ურთიერთდამოკიდებულება, საგუნდო სიმღერების შესრულების პრინციპები, მარტივი, რთული და შერეული წყობები ერთტონოვან და მრავალტონოვან სიმღერებში და კადანსების ნაირსახეობა. გაკვრით იყო აღნიშნული ქართული ხალხური სიმღერების ჰარმონიის, პოლიფონიისა და რიტმიკის თავისებურებანი.

მოხსენების დასასრულს პროფ. დ. არაყიშვილი შეეხო აგრეთვე ქართულ სამუსიკო საკრავებს—სალამურს, ფანდურს, დაირას, დალაბანდს, რომლებიც დღემდე შერჩენილია საქართველოში და გავრცელებულია უმთავრესად გლეხებს შორის და შეადარა აღმოსავლურ საკრავებს—ზურნას, თარს, ჭინურს და სალ. რომლებიც შემოსულია [illegible] ... ალბათ, [illegible] ... ასეთი სექციის ორგანიზაცია გადაუდებელი საქმეა.

სექციის თავმჯდომარემ აკად. გ. ახვლედიანმა შეაჯამა კამათის შედეგები და აღნიშნა, რომ დ. არაყიშვილის და ზ. ფალიაშვილის კვლევითი მუშაობის შემდეგ ამ დარგში ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული, რადგან ახალგაზრდა მუსიკოს-მეცნიერები არ ფლობენ სისტემატურ მუშაობას ქართული მუსიკის კვლევის საქმეში. მან ყოველგვარი დახმარება აღუთქვა ქართველ მუსიკისმცოდნეთა, თუ კი ისინი ამ დარგში მუშაობის სურვილსა და ენერგიას გამოიჩენენ. ამ დარგში კადრების მომზადებისათვის უნდა იზრუნოს თბილისის კონსერვატორიამ, სადაც, დღემდე არ არსებობს ქართული მუსიკის კათედრა და არ იკითხება ქართული მუსიკის ისტორიის კურსი.

## ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ — „თᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ“

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალმა მოამზადა და სახელგამის პოლიტლიტერატურის სექტორმა გამოსცა ღირსშესანიშნავი წიგნი „ალექსანდრე წულუკიძე. თხზულებანი“. წიგნი იხსნება ამხანაგ სტალინის შესანიშნავი სტატიით „ალ. წულუკიძის ხსოვნას“, რომელიც ალ. წულუკიძის გარდაცვალებიდან ერთი წლისთავზე, 1906 წ. 25 ივნისს დაიბეჭდა გაზეთ „ახალ ცხოვრებაში“. შემდეგ მოთავსებულია ამხანაგ ლავრენტი ბერიას სტატია—„დიდი სტალინის სახელოვანი თანამებრძოლი“ (ამხ. ლ. პ. ბერიას წიგნიდან „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“).

წიგნში ალ. წულუკიძის თხზულებანი დაბეჭდილია ქრონოლოგიური წესით და შემდეგი თანამიმდევრობით არის წარმოდგენილი:

„ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“. „ფირალი დავლაძე“ „ლალიონისა“; „ღია წერილი ბ-ნ გიორგი წერეთელს“; „საუბარი მკითხველთან“; „ოცნება და სინამდვილე“; „ეკონომიური მეცნიერების ისტორიისაგან“; „ჩვენი უთანხმოება (ბ-ნ ვ. წ-ის პასუხად)“; „ახირებული პრეტენზია“; „მკითხველის შენიშვნები“; „სხვაგან და ჩვენში (გაკვრით)“; „ჩემი შთაბეჭდილებანი (ჭიათურის შავი ქვის მწარმოებელთა ეკრების გამო)“; „ოცნება და სინამდვილე (კრიტიკული შენიშვნები ბ. არჩილ ჯორჯაძის „პროგრამის“ გამო)“; „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“; „შეგნებული პროლეტარიატის ბრძოლა“; „ბ-ნ გოგიჩაიშვილის საპოლემიკო ნიმუშები“; „პაწია შენიშვნა დიდ კითხვაზე“; „მუშათა კავშირები“; „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები“.

წიგნში მოთავსებულია აგრეთვე ალ. წულუკიძის კორესპონდენციები და რამდენიმე პირადი ხასიათის წერილი. თხზულებებს ბოლოში ერთვის შენიშვნები და სახელთა საძიებელი. ალ. წულუკიძის თხზულებანი გამოცემულია ამხ. ი. თავაძისა და ა. ქუთელიას რედაქციით. წიგნი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, შეიცავს 293 გვერდს და ღირს 16 მანეთი.

## ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

გამოვიდა სტალინური პრემიის ლაურეატის, ორდენოსანი პოეტის გიორგი ლეონიძის ლექსების კრებული. ამ კრებულში მოთავსებულია სხვადასხვა დროის ლექსები სხვადასხვა რაკალიდან. მრავალი ლირიკული ლექსი პირველად იბეჭდება. დაუბეჭდავი ლექსების უმრავლესობა 1926-1936 წლებს ეკუთვნის. სულ კრებულში მოთავსებულია ასამდე ლექსი და პოემა „ფორთოხალა“. წიგნს წარმძღვარებული აქვს პოეტის პორტრეტი.

გიორგი ლეონიძის ლექსების კრებული გამოსცა სახელგამმა ლ. კალანდაძის რედაქტორობით. წიგნი შეიცავს 172 გვერდს და ღირს 15 შან.

## ᲐᲙᲐᲓ. Კ. ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

**შაბათს, 24 ივლისს,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდისათვის აკადემიის კონფერენც-დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) აწყობს აკად. კ. კეკელიძის მოხსენებას თემაზე—„შემოქმედებითი პროცესი ძველ ქართულ ლიტერატურაში იდეოლოგიური ხასიათის ზოგიერთ მომენტთან დაკავშირებით“.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

## ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲘ

**23 ივლისს, საღამოს 8 საათზე,** პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ კლუბში (ლენინის, 28) შესდგება ამხ. ფრიშენბერგის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სამამული ომის მიმდინარე მომენტი და საერთაშორისო მდგომარეობა“.**

ბილ